"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაქის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №11 (300) 29 ნოემბერი, ორშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

როგორ დასცილდა ქართველობა უფლის რწმენას, რის შედეგსაც ვიმკით,,,

წმინდაო გიორგი, გააერთიანე საქართველო, შეაყვარე ქართველებს ერთმანეთი!

წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე–4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ. საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის კირიონის ცნობით, წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო. სავარაუდოა, რომ პირველი ტაძარი წმინდანის სახელზე, ბოდბეში წმინდა ნინოს თაოსნობით აიგო. (ბოდბის მონასტრის მთავარი ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა). საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე უამრავი ტაძარია აგებული. წმინდა გიორგი მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად ითვლება. ასევე, მას ევედრებიან დემონური ძალებისგან გამოხსნას. წმინდა გიორგი ქართველთა მფარველად ითვლება. უფლის განგებით, ქართველი ერის მფარველობა მას დაეკისრა. სწორედ ამიტომ, წმინდა გიორგის იაკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო."

ვერ ვიდავითეთ დავით, კიდევ ერთი დიდგორი!

სიყვარულისთვის დედამიწაზე

16 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე, 26 წლისამ თურქებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა, 27 წლის ქვეყნიდან დევნის სელჩუკებს, 29 წლის კახეთ-ჰერეთს იერთებს, 31 წლის ატარებს უმნიშვნელოვანეს საეკლესიო რეფორმას. 32 წლის ატარებს სამხედრო რეფორმას, ქმნის ქართველთა ლაშქარს მოსახლეობისგან, ყივჩაღთა ლაშქარს მუდმივი დანიშნულებისა, როქის სპას დაქირავებულ ლაშქარს. 33 წლისამ დაიწყო იყალთოს, გელათის აკადემიის მშენებლობა, 34 წლისა ატარებს სამართლის რეფორმას. ის იყო დავით მეფე აღმაშენებელი-მეფე აფხაზთა, ქართლთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშაჰთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

უფალო შენ მოგვივლინე კიდევ ერთი აღმაშენებელი სამშობლოსთვის.

პარადოქსი:

ქვეყანა, რომელიც ცოტნე დადიანის ზნეობრივ გმირობას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნული გმირის მოწამეობრივ ცხოვრებას და მიხეილ სააკაშვილის პოპულისტურ შიმშილობას აიგივებს, მომავალი არ აქვს

აშშ და ევროპა ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლას ყოველმხრივ შეუშლიან ხელს, ამიტომ საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა დაუშვას წარსულში დაბრუნება და „ნაცებისთვის" ხელისუფლების გადაბარება

მე-2 გვ.



სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორმა გიორგი გუგუჩიამ ქალაქის მერიის თანამშრომლებს ახლად არჩეული მერი ბექა ვაჭარაძე წარუდგინა

მე- 3 გვ.

გახსოვდეთ, ქალაქი ერთია და ყველამ ერთად ვიზრუნოთ მის განვითარებაზე

ორიენტირად დაისახეთ ფოთის სტრატეგიული ფუნქციის აღდგენა, როგორც ევრაზიის ფორფოსტისა

ფოთის საკრებულოს წევრებად არჩეულნი არიან:

მე-2 გვ.

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი მომავალი წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას გეგმავს

მე-3 გვ.

აკაკი დარჯანია პრემია ,,ფაზისით" დაჯილდოვდა

ნომინაციაში ,,ქალაქ ფოთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" პრემია ,,ფაზისი"-ს მეორე ნომინანტი უკვე ცნობილია. პრემიის მეორე მფლობელი გახდა აკაკი (გია) დარჯანია.

პირველად აღნიშნული პრემია გადაეცა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლს. პრემიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაჯილდოება შედგა 27 ნოემბერს ქალაქ ფოთში.

დაჯილდოებას ფოთისადა ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი, ფოთის მერი ბექა ვაჭარაძე, გერონტი კუხალეიშვილის ფონდის დამფუძნებლები და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შემობრუნება ზღვისკენ

ქალაქ ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოები დაიწყო



მე-3 გვ.

150- მდე შეჭირვებულ ოჯახს სასურსათო ნობათი მერის წარმომადგენლებმა და წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეებმა პირადად გადასცეს

მე-3 გვ.

ხალხის სამსახურში

სვანიძეების ექიმთა დინასტია

მე-5 გვ.

ალეკო დოლბაია

თენგიზ (ჩოქო) მხეიძის ხსოვნას

„ ...და ნავად ქარში, ჰორიზონტის მოცახიტი, ბეწვში სიმღერის მსხვილ ზვიხოებით"
გალაკტიონი

მე-6 გვ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში პროექტ ,,ვირტუალური გიდის" პრეზენტაცია გაიმართა

მე-4 გვ.

პარადოქსი:

ქვეყანა, რომელიც ცოტნე დადიანის ზნეობრივ გმირობას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიდა გამსახურდიას ეროვნული გმირის მოწამეობრივ ცხოვრებას და მიხეილ სააკაშვილის პოპულისტურ შიმშილობას აიგივებს, მომავალი არ აქვს.

აშშ და ევროპა ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლას ყოველმხრივ შეუშლიან ხელს, ამიტომ საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა დაუშვას წარსულში დაბრუნება და ,,ნაცებისთვის" ხელისუფლების გადაბარება

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სადავეები დღემდე უცხოელების ხელშია, და ფსევდო, ვითომ დემოკრატიაც კარგ საშუალებად იქცა უომრად საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის - რევოლუციები, დაუმორჩილებლობა, ხელისუფლებათა ცვლილებები, რომელსაც ასევე არ მოაქვს შედეგი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ასე იქნება ვიდრე უცხოელები ყველა პოლიტიკურ ინსტიტუტებს ფლობენ - სამთავრობო თუ არასამთავრობო, პრეზიდენტი თუ პარლამენტი, სახალხო დამცველი და ა.შ. ამას ემატება პარტიული სიმრავლე და დაბნეული ამომრჩეველი, მერყევი ოპოზიცია, რომლის პოლიტიკური თვალსაწიერი საკუთარ ღობეს ვერ გსცდა. არავითარი დიალოგი პრობლემის პოლიტიკური გზით გადაჭრისათვის, ხალხის გაჭირვებით მანიპულირება და რევოლუციური აღტკინებისათვის გამოყენება კვლავ ძალაშია. ოცნების ნაციონალებთან კოჰაბიტაციამ ასევე დამანგრეველი შედეგი გამოიღო ყველა პარამეტრით და ესაა უპირველესად ნეოფაშისტური რეჟიმის პოლიტიკაში დაბრუნების პერსპექტივა, რასაც მხარს უჭერენ დასავლური პარტიები, თუ ეს არის ევროპული ორიენტაცია, რაც ასევე შედის აშშ-ს ინტერესებში, უნდა ვთქვათ, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სახელმწიფოებრიობას და იმ უბადაღებულ დემოკრატიას, რომელიც ვერა და ვერ შედგა, რაშიც ორ დაპირისპირებულ ძალას ,,ნაც-ქოცებს" მიუძღვის ბრალი. რომლებიც ერთმანეთისთვის მაშველ რგოლებად იქცნენ, ხოლო დემოკრატიის მთავარი წყარო ხალხი, თანდათან ტოვებს ქვეყანას. ეს არის გენოციდი, რომელიც მოიტანა დიქტატურამ დემოკრატიის სახელით, ნეოფაშიზმმა, არაფორმალურმა მმართველობამ, ერთპარტიულობამ, ამ ვითარებაში დგება ახალი ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსავლის დრო, რომელიც ქვეყანას წაიყვანს სწორი გზით და არ მისცემს სხვა ქვეყნებს მის პოლიტიკურ საქმეებში ჩახედვის უფლებას. ხელისუფლების გადაბარების საფუძველს იძლევა საარჩევნო შედეგებით მიახლოება კოჰაბიტირებულ ძალებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი მონაწილეობს ამ კამპანიაში და ცვლილებების მოლოდინშია. ცხადია, ნაციონალები ამას კარგად ხედავენ და ცდილობენ ნებისმიერი გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. მიხეილ სააკაშვილმაც ჩათვალა, რომ რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა, რასაც, უპირველესად, ხალხის უკმაყოფილება განაპირობებს და საქართველოში ჩამოსვლით ეს მიზანი უნდა განეხორციელებინა. მან ვერ გათვალა, რომ ახლა 2003წელი არ არის. არც ისე იოლია ასიათასობით ადამიანების შეკრებაც, რაც თვალნათლივ ჩანს მათ დაგეგმილ სამიტინგო ღონისძიებებზე, კაცი რომელიც დემოკრატიაზე ღებს თავს, დაავიწყდა რომ ორი ვადით იყო პრეზიდენტი და მესამედ მოსვლას კონსტიტუციური ცვლილება სჭირდება. თუმცა, კონსტიტუცია თავის დროზე მისთვის ერთი პატარა უბის წიგნაკი იყო. მოკლედ, ისევ განკაცდა მესია, დაეშვა ქართულ მიწაზე, რათა ზეცად აიყვანოს თაყვანისმცემლები. თუმცა, გეგმა ჩავარდა და გამოსავალი შიმშილობა გახდა. რაც 50 დღე გაგრძელდა და მსოფლიოს ყურადღების ქვეშ მოექცა. ყველას დაავიწყდა მისი დამნაშავე რეჟიმი, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს კრმინალების მიერ დაფინანსებულმა ,,დამოუკიდებელმა" ტელევიზიებმა. საიდანაც დილიდან საღამომდე მოდის მესიჯები - მიშა და საქართველო ერთია, მიშა და ხალხის თავისუფლება იდენტურია. ისაა ერთადერთი მხსნელი და ა.შ. ამ ტელევიზიებს თავის დროზე სიტყვა არ დაცდენიათ 7 ნოემბრის მოვლენებზე, ტელევიზიების დარბევაზე, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დღეს ხოტბას ასხამს სააკაშვილის რეჯიმს. გულს უჩუყებს ხალხს - სააკაშვილი-პუტინის პატიმარია. ასეთი, ვითომ დამოუკიდებელი ტელევიზიები აბინძურებენ თავისუფალ სიტყვას, სამართლებრივ სივრცეს, რაც უფრო დიდი დანაშაულია. დღეს ლამის მთელი პარტიული ელიტა წუხს იმ კაცის ჯანმრთელობაზე, რომლის კისერზე ათასობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლეა, ქვეყნიდან გაქცეული და დანგრეული ოჯახებია. ამან ერთგვარად განაპირობა ოპოზიციის ლუსტრაცია, რომ სკამისთვის ეშმაკსაც კი შეეკვრებიან. ვარდების რევოლუცია შიმშილით რევოლუციამ ჩაანაცვლა. ერთბაშად გამოჩნდნენ მივიწყებული ნაციონალები, შარიანი შიმშილობა გრძელდება. სააკაშვილმა ციხიდან სამოქალაქო საავადმყოფოში გადაინაცვლა. საქართველოდან მსოფლიოს საუკეთესო კლინიკაში გადაყვანაზე ფიქრობენ, ნეტა, რა დაუშავეს სხვა პატიმრებმა. მთელი ქვეყანა თავის მართლების რეჟიმში ჩააყენა ჭირვეულმა მიშამ, რომელიც აქეთ ადანაშაულებს უხეში მოპყრობისათვის, სადაც მნახველთა მიღების საათი აქვს ,,პრეზიდენტს". არადა, ერთ დროს მისგან ტანჯული ხალხი დღემდეც გამწარებულია. მოსახლეობის მეორე ნაწილი კი ამ დიქტატორის დაბრუნებაზე ოცნებობს, არ მთავრდება ჩვენს ქვეყანაში ბელადომანია და ყვარყვარიზმი. ქვეყანაში ახალი ეროვნული ძალების მოსვლას მხარს არ დაუჭერენ გარე ძალები. რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის სტრატეგიულ მდგომარეობას და ამაგრებენ ნეოლიბერალურ ძალებს, რაც თავის მხრივ არყევს ქრისტიანულ საფუძველს, რომელზედაც დგას ქართული სახელმწიფოებრიობა. მათ ავიწყდებათ, რომ საქართველო ავდანეთი არაა, კულტურით ცივილიზაციითა და ტრადიციებით ყველაზე მაღლა დგას, ამაზე მეტყველებს მრავალათასწლოვანი ისტორია. დღეს ეშმაკის ტყვეობაში ჩავარდნილები ანგრავენ რწმენას, ზნეობას, მოაქვთ სტრესი, ფსიქოზი, უიმედობა. მიაქვთ სიმშვიდე და თანადგომა, ურთიერთობები ადამიანებს შორის ნელდება, ვინ დაუბრუნებს მათ განწყობას, ხალისს, მთელი ქვეყანა პოლიტიკურ თეატრად იქცა. შიმშილით ქმნიან გლობალურ პრობლემას, როდესაც რეალურად შიათ ადამიანებს და იხოცებიან. ვერც პანდემიამ და ვერც ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ვერ გააერთიანა ქართველობა. როცა დამნაშავეს და პროვოკატორს ზნეობრივ გმირს-ცოტნე დადიანს ადარებენ, რომელიც თაფლს კი არ მიირთმევდა, გაავებული, მონღოლის ხმლისათვის ჰქონდა კისერი მიშვერილი. არადა, ჩვენ კარგად გვახსოვს გორში ბომბდამშენი თვითმფრინავის ხმაზე მიწაზე მფორთხავი მიშა. ფსევდოლიბერალები, ნეოფაშისტები იბრძვიან ხელისუფლებისათვის და ვინც შეეწინააღმდეგება მათ იდეებს, რუსეთის აგენტებად ნათლავენ. ქრისტიანობაც და სამშობლოს სიყვარულიც აგენტობაა გლობალისტებისა და კოსმოპოლიტებისათვის.

30 წელი ვერ მივედით ნამდვილ დემოკრატიამდე, 30 წლიანმა პოლიტიკურმა თამაშებმა, შიდა და გარე მტრების მონაწილეობით ქვეყანა დააზიანა. ისინი მხარს უჭერენ ნეოფაშისტური ძალების აღზევებას, რაც დიდი გამოწვევაა ქართველი ხალხისათვის.

30 წლიანმა ფსევდო დემოკრატიამ, ევროპულმა ორიენტაციამ შედეგი არ გამოიღო. გაუსაძლისი ყოფა, დიდხანს ვერ გაგრძელდება, ცოტა დრო დარჩა ნამდვილ რევოლუციამდე, რომელიც ყველაფერს წალეკავს და, იმედია, საქმე აქამდე არ მივა, ქართველობა ისევ გაერთიანდება ღვთისა და საშობლოს ირგვლივ.

ჩვენ გავიარეთ ნაცისტური ჯოჯოხეთი, ,,ოცნებამაც" ამოწურა ნდობის რესურსი. ახალი ეროვნული ძალების დრო დადგა, რომელიც ერს გააერთიანებს რეალური დემოკრატიისა და თავისუფლების დამკვიდრებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ქრისტიანული რწმენის დამკვიდრებისათვის.

ზ. აბრალავა

გახსოვდეთ, ქალაქი ერთია და ყველამ ერთად ვიზრუნოთ მის განვითარებაზე

ორიენტირად დაისახეთ ფოთის სტრატეგიული ფუნქციის აღდგენა, როგორც ევრაზიის ფორფოსტისა

ფოთის საკრებულოს წევრებად არჩეულნი არიან:

1. ალექსანდრე ტყებუჩავა - ქართული ოცნება
2. ნიკოლოზ კორშია - ქართული ოცნება
3. გვანცა გვაძაბია - ქართული ოცნება
4. ნანა ვეკუა - ქართული ოცნება
5. მაია დოლბაია - ქართული ოცნება
6. ბაქარი ერაგია- ქართული ოცნება
7. თორნიკე კირთაძე- ქართული ოცნება
8. ოლეგი ნჭყებია- ქართული ოცნება
9. მალხაზ ფოჩხუა- ქართული ოცნება
10. უჩა დოლიძე- ქართული ოცნება
11. სანდრო ქუშაშვილი- ქართული ოცნება
12. ნიკოლოზ იზორია - ქართული ოცნება
13. ბექა მორჩილაძე - ქართული ოცნება
14. დავით ესებუა- ქართული ოცნება
15. ირაკლი კიკალეიშვილი- ქართული ოცნება
16. ზაალი კვინჩია - ქართული ოცნება
17. შალვა სარდალიშვილი- ქართული ოცნება
18. თორნიკე ხარჩილავა - ქართული ოცნება
19. თემურ დუნდუა- ქართული ოცნება
20. ნანა საბულუა - ქართული ოცნება
21. გიგლა თურქია - გახარია -საქართველოსთვის
22. თამარ კაჭარავა- გახარია-საქართველოსთვის
23. მამუკა გვასალია- გახარია -საქართველოსთვის
24. თამარ თოფურია- გახარია- საქართველოსთვის
25. დარეჯან ცხვიტარია - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
26. დათო ხომერიკი- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
27. ანა ჯოჯუა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
28. პაატა ჩაგანავა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
29. მიხეილ ფირცხალავა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
30. დავით ბასილაია- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
31. არჩილ ხულორდავა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
32. მარიამ უჩანეიშვილი- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
33. ირაკლი ლაბარტყავა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
34. ჟანა ჩაჩავა- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
35. ლაშა რუხაია- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორმა **გიორგი გუგუჩიამ** ქალაქის მერიის თანამშრომლებს ახლად არჩეული მერი **ბექა ვაჭარაძე** წარუდგინა

ბექა ვაჭარაძე - თანამშრომლებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი გუგუჩიამ** მოადგილეებთან ერთად წარუდგინა და ახალ მერს წარმატებები უსურვა.

ბექა ვაჭარაძემ ფოთელებს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მზად არის თითოეული ადამიანის ენთუზიაზმი, ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ქალაქის განვითარებისთვის გამოიყენოს.

"კიდევ ერთხელ მინდა მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ნდობა გამოგვიცხადა და ჩვენი იმედი აქვს. **მე ვიქნები ყველას მერი და მზად ვარ, ჩემს გუნდთან ერთად, ყველა თაობის ადამიანს მოვუსმინო**.

დღეს ჩემთვის ძალიან საპასუხიმგებლო დღეა, ჩვენ უნდა დავიწყოთ იმ გამოწვევებსა და პრობლემებზე მუშაობა, რომელიც ჩვენი ქალაქის წინაშე დგას. შესაბამისად, დღეიდან ყოველი დღე პასუხისმგებლობით სავსე იქნება ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის. შევხვდი მერიის თანამშრომლებს, სამსახურის უფროსებს. მათზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული და ერთადერთი რასაც მათგან ველი, არის რომ კეთილისინდისიერად, პროფესიონალიზმით უნდა იმუშაონ ქალაქის განვითარებაზე და ეს იქნება ერთადერთი კრიტერიუმი რითაც ისინი შეფასდებიან და დაფასდებიან ჩემთან და ქალაქთან მიმართებაში"- განაცხადა ბექა ვაჭარაძემ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი და ახალარჩეული საკრებულოს წევრები-ნიკა კორშია და ზაალ კვინჩია NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს ალან გილანს შეხვდნენ

შეხვედრაზე ქალაქ ფოთის მერიასთან და საკრებულოსთან სამომავლო ურთიერთანამშრომლობის საკითხებზე, ბიუჯეტირების და მოქალაქეთა თანამონაწილეობის პრინციპებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში ახალგაზრდების მეტი ჩართულობის სტიმულირებაზე ისაუბრეს.

ეროვნულ- დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) აშშ- ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამით თანამშრომლობს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მიზნად მოქალაქეებისადმი ანგარიშვალდებულების გაზრდას ისახავს.

მხარეებმა სამომავლო პროექტებთან დაკავშირებით შემდგომი თანამშრომლობა და სრული მზადყოფნა გამოთქვეს.

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი მომავალი წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას გეგმავს

საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს, რომელსაც ფოთის მერი ბექა ვაჭარაძე დაესწრო.

"ჩვენი საზღვაო ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და პერსპექტივების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ამ სფეროში კვალიფიციურ კადრებზე გაჩენილი მოთხოვნა თავადვე დავაკმაყოფილოთ - ჩვენი ახალგაზრდები იყვნენ ის მაღალანაზღაურებადი კადრები, რომლებიც ქალაქის და ქვეყნის საზღვაო ინფრასტრუქტურაში დასაქმდებიან"-განაცხადა ბექა ვაჭარაძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საგანმანათლებლო, ისე საზღვაო სფეროს კერძო თუ საჯარო სექტორის სხვადასხვა წარმომადგენლები.

ამჟამად, ფოთის საზღვაო სასწავლებელში მეზღვაურთა საწვრთნელი კურსები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მიმდინარეობს და დღეისათვის დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 300-მდე სტუდენტი სახელმწიფო დაფინანსებით ეუფლება მოთხოვნად პროფესიებს.

შემობრუნება ზღვისკენ
ქალაქ ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მესამე ეტაპის სამუშაოები დაიწყო

პროექტი ითვალისწინებს საფეხმავლო და ველო ბილიკების მოწყობას; საინჟინრო (ჰიდროტექნიკური) ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაციას; ტერიტორიის გამწვანება-კეთილმოწყობას; მისასვლელი გზების და სანიაღვრე არხების მოწყობას; ღობეების რეაბილიტაციას.

კუნძულის სანაპირო ზოლზე მოეწყობა დაღუპულ მეზღვაურთა მონუმენტი.

სამუშაოების ღირებულება 2 560 000 ლარს შეადგენს.

კუნძულის სანაპიროს 2 000 მეტრიან ზოლზე მოეწყო შიდა კომუნიკაციები, დამონტაჟდა განათების სისტემა, დაიგო საფეხმავლო და საავტომობილო გზები, აშენდა სავარჯიშო ზონები-ჩოგბურთის კორტი, მინისაფეხბურთო მოედანი ,

მოეწყო ვეტერანთა სახლი .

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ინფრასტრუქტურული განახლება და მოწესრიგებული სივრცეები ქალაქს მეტ სიცოცხლეს სძენს.

150- მდე შეჭირვებულ ოჯახს სასურსათო ნობათი მერის წარმომადგენლებმა და წითელი ჯვრის საზოგადოების მოხალისეებმა გადასცეს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფოთში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სასურსათო კალათები გადაეცათ.ფოთის მერიისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა სოციალური აქტივობა ხორციელდება, რომელიც პანდემიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქებას ითვალისწინებს.

კოლეჯ ,,ფაზისში" სწავლება განახლდა

კოლეჯი ,,ფაზისი" ახორციელებს აგრარული, ინჟინერიის, ინფორმაციული ტექნოლოგიის, ტურიზმისა და დარგთაშორისი მიმართულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

აღსანიშნავია, რომ ,,ფაზისში'' 2020 წელს პანდემიის პერიოდში ,,გაეროს ერთობლივი პროგრამა - ,,გენდერული თანასწორობისათვის" პროექტის ფარგლებში, დისტანციურ რეჟიმში 13 სხვადასხვა მიმართულების ონლაინ პროგრამა გახორციელდა.

კოლეჯ ,,ფაზისის'' დირექტორის ნინო ბაკურაძის თქმით: მიმდინარე ეტაპზე პირველი მარტიდან, კოვიდ პანდემიის რეგულაციების სრული დაცვით, კოლეჯის სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში მიმდინარეობს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფების პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ხოლო თეორიული ნაწილი ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში ასევე მიმდინარეობს და მალე ექსპლუატაციაში შევა, სახელოსნოების კომპლექსი და სადურგლო - ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნო.

სსიპ კოპლეჯი ფაზისი 2021 წელს გეგმავს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას: ფოთის ლოკაციაზე- „სკოლამდელი აღზრდა", „ხის მხატვრული დამუშავება","ფლორისტიკა".გაიცემა დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ატესტატთან. (12 კლასი)

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, კლინიკაში -,,ლაზიკამედი"- დანყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევები მიმდინარეობს

კონსულტაციებს ბავშვთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი ირაკლი რობაქიძე და ოფთალმოლოგი ქეთევან გიორგიძე ატარებენ.

პროგრამის მიზანია თვალის პათოლოგიების გამოვლენა და პრევენცია, სქოლიოზის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით ორთოპედის კონსულტაცია და ხერხემლის რენტგენოლოგიური კვლევა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში გავრცელებული პა-

თოლოგიების, კერძოდ, თვალისა და ხერხემლის (სქოლიოზის) პათოლოგიების პრევენციის მიზნით.

აღნიშნულ მომსახურებას ტენდერში გამარჯვებული კლინიკა „ლაზიკამედი" ახორციელებს.

#ვაქცინაგვიცავს
ავიცრათ ერთმანეთისთვის!

60 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქე, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ჩაიტარებს ვაქცინაციას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით, ავტომატურად მიიღებს 200 ლარიან ერთჯერად დანამატს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია თვის განმავლობაში ორჯერ (1-ელ და 15 რიცხვებში) მიეწოდება და ინფორმაციის მიღებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მოქალაქისთვის თანხის ჩარიცხვას.

ერთჯერადი დანამატის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკთან" გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათსავე ანგარიშზე მოხდება.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთა ასაკი 60-დან 65 წლამდეა და საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნებიან, სო-

ციალური მომსახურების სააგენტო „ლიბერთი ბანკთან" არსებული ხელშეკრულების ფარგლებში, ანგარიშებს თავად გაუხსნის.

ის მოქალაქეები, რომლებიც აცრის პირველ დოზას 2021 წლის დეკემბრის თვის ბოლოს გაიკეთებენ, ერთჯერად დანამატს 2022 წელს მიიღებენ.

კონკურსში -,,დებატები უკეთესი განათლებისთვის“ - ფოთელი მასწავლებლების წარმატება

პროექტის ,,დებატები უკეთესი განათლებისთვის“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პირველად გაიხსნა დებატკლუბები ფოთში, როგორც პირისპირ, ასევე ჰიბრიდულ და ონლაინ რეჟიმში. პროექტის ფარგლებში ახლა უკვე 60 -მა დებატკლუბმა დაიწყო აქტიური მუშაობა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფოთიდან ორმა მასწავლებელმა მე-5-ე საჯარო სკოლიდან ნინო კილასონიამ და მე-12-ე საჯარო სკოლიდან სალომე ჯუღელმა, შეძლეს დიდი კონკურსის გავლა და მთელი საქართველოდან იმ მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფში მოხვედრა, რომლებიც გადამზადდნენ და მიიღეს დებატების კლუბის ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია.

პროექტი „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ მიზნად მოსწავლეებში თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქალაქის უნარების განვითარებას და ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, როგორიცაა: კონსტრუქციული მსჯელობა, არგუმენტაცია, მასალების მოძიება, ორატორობა, გუნდურობა, დროის მართვა, ოპონენტის პატივისცემას ისახავს მიზნად.

აღსანიშნავია რომ სკოლის მასწავლებლები და შემდგომ მოსწავლეები მსოფლიოში პოპულარულ და ეფექტურ საგანმანათლებლო ინსტრუმენტს, ფორმალურ დებატებს ეუფლებიან. აღნიშნული სასწავლო პროგრამა, საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო დებატების საგანმანათლებლო ასოციაციის წევრი ორგანიზაციის - საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის - მიერაა შემუშავებული.

თამაზ კოსტავას გახსენება

,,კარგსა რადა კლავ სიკვდილო, განა შენც არა კვდებიარ"?

ბევრი კარგი ფოთელი დაგვაკლდა ბოლო დროს. ისინი არამარტო ჩვენ, მთელს ქალაქს დააკლდნენ თავიანთი თავდადებული შრომით, სამსახურით, ადამიანებისადმი გულისხმიერებით. ერთ-ერთი მათგანი იყო თამაზ კორტავა-ნაღდი ფოთელი, მისი ყველა კარგი თვისების მტარებელი, გულღია კაცი, მუდამ მომღიმარი ხალისიანი, ხელგაშლილი, ყველას მასპინძელი, ქალაქის ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე, მხარდამჭერი.

იგი წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ქალაქის ნავთობ პროდუქტებით მომარაგების საქმეს. ყველას ეიმედებოდა, ყველას პატივს სცემდა. გასაჭირში გვერდში მდგომი. ის იყო კარგი მამა, მეუღლე, ბაბუა, კარგი მოქალაქე, თავის ქალაქსა და ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული. კიდევ ბევრი სიკეთის მოტანა და ბევრის გაკეთება შეეძლო.

წავიდა ისე, არავის ვალი არ მიყვება, პირიქით - ჩვენ ვართ ვალში.

ძალიან გვაკლია ყველას, როგორც პიროვნება და მეგობარი.

ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

მეგობრები, ახლობლები

ჟუჟუნა ჩხეიძის გახსენება

ქალბატონ ჟუჟუნა ჩხეიძე ფოთის სახელმწიფო თეატრის საამაყო მსახიობი იყო. დიდია მისი ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე. სილამაზით და ადამიანობით განთქმული მსახიობი ალამაზებდა სცენას და თავისი შემოქმედებით და არტისტიზმით აოცებდა ქართულ მაყურებელს. იგი უყვარდათ და დიდ პატივს მიაგებდნენ. თეატრში იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა და 1953 წლიდან ჩაება თეატრალურ შემოქმედებაში. დიდია მისი ღვაწლი ქართული თეატრის წინაშე და მთავრობამაც სათანადოდ დააფასა მისი მოღვაწეობა. მას საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება ქონდა მინიჭებული. იყო ღირსების ორდენის კავალერი. ფოთის საპატიო მოქალაქე. იგი ყოველთვის მოწინავე ხაზზე იდგა თავის თანაგუნდელებთან ერთად. ის ბრწყინვალედ ასახიერებდა სპექტაკლებში არათუ იმ პიროვნებებს და აღტაცებაში მოჰყავდა ფოთელი მაყურებელი. მას ყოველთვის ოვაციებით აცილებდნენ სცენიდან, მას მხოლოდ მთავარ როლებში უთამაშია. გავიხსენოთ ზოგიერთი სპექტაკლები მისი მონაწილეობით. ,,ცდუნება" ,,მე, ბებია ილიკო და ილარიონი" ,,ორი ბატონის მსახური. ,,მე ვხედავ მზეს", ,,მედეა" და მრავალი სხვა.

წავიდა ჩვენგან სამუდამოდ ქალბატონი ჟუჟუნა, მაგრამ მისი არტისტული სახე ყოველთვის დარჩება ფოთელთა გულებში. მან სამუდამო ბინა დაიდო სამოთხეში, სული კი უფალმა მიიბარა ზეცაში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა ქალბატონი ჟუჟუნა ჩხეიძის სპეტაკი სული.

რამაზ ლაგვილავა
ფოთის სახელმწიფო თეატრის თანამშრომელი.

მილოცვა

ჟერონ შუბითიძე-77

დაბადების დღესთან და ფოთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით

ფოთის მერი გოჩა კურღოლელია ფოთის საპატიო მოქალაქის წოდების სიგელს გადასცემს ჟერონ შუბითიძეს,

ბატონო ჟერონ, გულითადად გილოცავთ დიდი შრომის დაფასებას და აღიარებას. თქვენ წლების განმავლობაში ემსახურეთ ქალაქს, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტი, მეცნიერი და კვლავაც აგრძელებთ საქმიანობას ჩვეული ენერგიითა და მონდომებით.

თქვენ ყოველთვის იყავით საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე. ყველა სიახლის მხარდამჭერი, პასუხისმგებლიანი, დაუზარელი პიროვნება.

ბატონო ჟერონ, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს-15 ნოემბერს და ფოთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებებას, გისურვებთ კვლავაც დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას და სიხარულს ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

დაე, ყოველთვის გეთქვათ - ,, ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე!"

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით"
რედაქცია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში პროექტ ,,ვირტუალური გიდის"პრეზენტაცია გაიმართა

პროექტის შესახებ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის წარმომადგენელმა და პროექტის ხელმძღვანელმა ტატიანა ბოკუჩავამ ისაუბრა.

2018 წლიდან საქართველოს ადგილობივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ დაიწყო პროექტი „მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა - შავი ზღვის განვითარების საფუძვლები“, სადაც აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

პირველი პრეზენტაცია ექვს ენაზე შექმნილ, ერთობლივი ელექტრონული კატალოგის მიმოხილვას დაეთმო, რომელიც პროექტში მონაწილე ქვეყნებმა - საქართველომ, ბულგარეთმა, რუმინეთმა, საბერძნეთმა, მოლდოვამ და უკრაინამ, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ერთობლივად შეიმუშავეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პორტალი - https://greethis-db.info/ka/home-ge/ პროექტში მონაწილე ექვსივე ქვეყანაში ოპერირებადი იმ ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებს მოიცავს, რომლებიც ენერგოეფექტური პროდუქციის შექმნა/რეალიზაციას ახორციელებენ. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ ამავე ვებ-გვერდზე შესაძლებელია ისტორიული შენობებისა და ტერიტორიების ენერგოეფექტურობისა და კლიმატისადმი მდგრადობის ინოვაციური ტექნოლოგიების საბაზრო კვლევების ხილვა.

შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო ადგილების პოპულარიზაციის მიზნით, პროექტის ფარგლებში, ასევე, შეიქმნა ტურისტული ობიექტების ვირტუალური გიდი (https://greethis.ilab.studio/ge), რომელიც პროექტში მონაწილე ქვეყნების, ექვს-ექვსი ობიექტის ვირტუალურ ტურს შეიცავს. მათ შორისაა ფოთში არსებული ნიკო ნიკოლაძის კოშკი, ფოთის საკათედრო ტაძარი.

ტატიანა ბოკუჩავამ დამსწრე საზოგადოებას, ათეა-ს მიერ პროექტში მონაწილე - ფოთის (https://tourspoti.ge/) ქობულეთისა (http://tourslanchkhuti.ge/)და ლანჩხუთის (http://tourslanchkhuti.ge/) მუნიციპალიტეტებისთვის ინდივიდუალურად შექმნილი ტურისტული ობიექტების ვირტუალური გიდის პრეზენტაცია წარუდგინა და განმარტა, რომ აღნიშნული პორტალების არსებობა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც თვითმმართველი ერთეულების, ისე ქვეყნის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

პროექტი ,,მწვანე ტურიზმი და ისტორიული მემკვიდრეობა“, რომელსაც ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივი ორგანიზაციების კავშირი (UBBSLA) საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან (NALAG), ასევე რუმინეთის, საბერძნეთის, მოლდოვასა და უკრაინის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახორციელებს, 2018 წელს დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში დასრულდება.

„ვირტუალური გიდი“ მნიშვნელოვანი პროექტია საერთაშორისო არენაზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ცნობადობის ასამაღლებლად.

მედიკამენტების ფასები არის ძალიან გაზრდილი და ჩვენ ვალდებული ვართ, ამაზე მოვახდინოთ დროული რეაგირება-განაცხადა პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა

მედიკამენტების ფასები არის ძალიან გაზრდილი და ჩვენ ვალდებული ვართ, ამაზე მოვახდინოთ დროული რეაგირება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის შუალედური ანგარიში, რომელიც მთავრობის მეთაურს რამდენიმე დღის წინ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძემ გააცნო, დღეს ეკონომიკური საბჭოს ფორმატში განიხილეს.

საბჭოს სხდომაზე მოწვეული იყო კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, რომელმაც ანგარიშის ძირითად დასკვნებზე ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრმა შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც, მედიკამენტების მაღალ ფასებთან დაკავშირებული გამოწვევის დროულად გადასაჭრელად, რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა გადაიდგას.

“უკვე წლებია, ასე განვითარდა ეს პროცესი და საჭიროებს სწორად ჩარევას ჩვენი მხრიდან. რეალურად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც არის ევროპის ქვეყნებში. ახალს არაფერს არ ვიგონებთ, ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს, იმიტომ, რომ ჩვენს მოსახლეობას ძალიან აწუხებს. მედიკამენტების ფასები არის ძალიან გაზრდილი და ჩვენ ვართ ვალდებული, ამაზე მოვახდინოთ რეაგირება, თანაც დროული. მინდა, ამ ფორმატში ვიმსჯელოთ და დავიწყოთ რეაგირება და ქმედება”, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ხალხის სამსახურში

სვანიძეების ექიმთა დინასტია

ფოთელი ექიმების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მასალები მოგვაწოდა ცნობილმა ექიმ-გინეკოლოგმა ქალბატონმა მარინა ხოფერიამ.

შოთა სვანიძე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ქ. ფოთში ინტელიგენცია ძალას იკრებდა, მატულობდა მოთხოვნა სპეციალისტებზე ჯანდაცვის სისტემაში.

1946წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების [1941-1946წ] შემდეგ ჩამოვიდა. ორი ახალგაზრდა სპეციალისტი ექიმი და-ძმა -**დაგმარა გიორგის ასული სვანიძე და შოთა გიორგის ძე სვანიძე.**

დაიწყეს მუშაობა თერაპევტად. მაშინ იყო გაერთიანება საავადმყოფო -პოლიკლინიკა-სასწრაფოში.

თერაპიული განყოფილების გამგე ფილიპე რამიშვილის ხელმძღვანელობით. რთული იყო მაშინდელი საექიმო მოვალეობა. ერთი მორიგე ექიმი იყო საავადმყოფოში და სასწრაფო დახმარების სადგურშიც.

1947წწ ფოშთი ჩამოვიდა თბილისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა ექიმი თინა დავითის ასული ხმალაძე [1942-1947წ]

დაიწყო მუშაობა ქ. ფოთის 1პოლიკლინიკაში კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგედ. ახალგაზრდა, თავისი საქმის მცოდნე, შეუმცჩნეველი არ დარჩენია შოთა სვანიძეს და გარდა სამსახურეობრივი ურთიერთობისა გადაწყვიტეს თავიანთი ბედი ოჯახური ურთიერთობით განემტკიცებინათ.

1947წ დაქორწიდნენ და შეიქმნა ერთი ლამაზი ექიმთა ოჯახი. 1948წ შეეძინათ ვაჟი გიორგი (გია) სვანიძე. 1950წ ქალიშვილი-ლია სვანიძე მივლინებულ იქნა ქ.თბილისში ორდინატურაში-კარდიოლოგიის განხრით, სადაც მუშაობდა და იმაღლებდა კვალიფიკაციას ცნობილ ექიმებთან, მაშინდელი მედიცინის კორიფეებთან ივტიხი ცინცაძე, დუტუ დიდებულიძე, თავისი შრომისმოყვარეობაზე, საქმისადმი სიყვარულით და პასუხისმგებლობის გრძნობით, მან მალევე მოიპოვა ავტორიტეტი, თავის პედაგოგებს შორის. მიუხედავად მათი რჩევისა, რომ დაეჩენილიყო თბილისში და გაეგრძელებინა თავისი სამედიცინო კარიერა ქ. თბილისის 1 კლინიკურ საავადმყოფოში.მან უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე, რადგან ჩათვალა, რომ თავის მშობლიურ ქალაქს ის უფრო მეტად სჭირდებოდა.

1957წ დაბრუნდა ქ. ფოთში. ექიმობა იყო მისი სათაყვანებელი პროფესია, ახალგაზრდობიდანვე დაიმსახურა პაციენტების სიყვარული და თანამშრომლების პატივისცემა.მისთვის არ არსებობდა შაბათი-კვირა, დასვენების დღეები.

დღე და ღამე გაერთიანებული ქონდა მუშაობაში და თავისი პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

ბატონი ფილიპე რამიშვილის გარდაცვალების შემდეგ თერაპიული განყოფილება ჩაიბარა და თერაპიული განყოფილების გამგე იყო გარდაცვალებამდე [1992წ] სწორედ იმ წლებში ქ,ფოთის საავადმყოფო ითვლებოდა რეგიონში წამყვან სამედიცინო კერად. სწორედ იმ პერიოდში მომუშავეახალგაზრდა საუკეთესო ექიმთა პლეადამ გაუთქვა სახელი ფოთის საავადმყოფოს, არათუ დასავლეთ საქართველოში, არამედ საქართველოს მასშტაბით ცნობილი იყო მათი სახელები... მამია ჩხეიძე, ელიკო ესებუა, ვენერა ჯობავა, მიშა ალანია, შოთა ქანთარია, შალვა ზოიძე, თინა ჩხარტიშვილი, თამარ სარჩიმელია, ლილი მირცხულავა, აბესალომ კარანაძე და სხვები.

საავადმყოფოს მინიჭებული ჰქონდა სასწავლო-სტატუსიც, სწორედ მის ბაზაზე გაიზარდნენ და შემდგომ კარგ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ ბევრი ახალგაზრდა ექიმი.

მეორე თაობა - დავუბრუნდეთ

გია სვანიძეს ფოთის საპატიო მოქალაქის დიპლომს გადასცემენ

სანამ ამ ოჯახის მეორე თაობაზე მოგითხრობდეთ, მინდა კვლავ ბატონ შოთა სვანიძის ბიოგრაფიას დავუბრუნდე. 1953-1957 წლებში

გიორგი [გია] სვანიძე დიბადა 1948წ. 1966წ დაამთავრა ქ. ფოთის 1საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, 1966 - 1972წ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1972-1976წ. მუშაობდა ხობის რაიონში და ფოთის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ქირურგად. ცნობილი დასტაქარის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით.

გია სვანიძე

1976-1984წ. მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მეცნიერ- თანამშრომლის თანამდებობაზე და თბილისის №2 კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგად.

1984-1986წ. მივლინებული იქნა ანგოლაში ქირურგად. 1986-1991წ. მუშაობდა მოსკოვის ვ.ა. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში. სადაც 1989წ. დაიცვა საკანდიდანტო დისერტაცია.

1991 წლიდან - **დღემდე** მუშაობს თბილისის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების ხელმძღვანლად. 1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1996წელს ავტორთა კოლექტივთან ერთად აკად. ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით მიენიჭა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და ერთი მონოგრაფია, რომელიც ეძღვნება ღვიძლის და სანაღვლე გზების დაავადებების დიაგნოსტიკას და ქირურგიული მკურნალობის საკითხებს. გშ. სვანიძე მონაწილეობდა მრავალი მრავალი საერთაშორის კონგრესების მუშაობაში (ესპანეთი,აშშ,ჰონკონგი, ავსტრია, გერმანია),სადაც გამოქვეყნებულია მისი სამეცნიერო შრომები.

გ.შ. სვანიძე არის ამერიკის ულტრაბგერითი ასოციაციის, გასტროქირურგთა საერთაშორისო კლუბის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის გამგეობის და ჟურნალ ,,რადიოლოგიის მაცნეს" სარედაქციო საბჭოს წევრი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი 2006 წლამდე.

2006 წლიდან არის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი. 2017 წლიდან დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

არის ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე. ჰყავს მეუღლე ლამარა თოდუა, პროფესიით ბიოლოგი და ორი ვაჟი,სვანიძეების დინასტიის მესამე თაობის წარმომადგენლები - უფროსი გიგი სვანიძე არის წარმატებული თავის დარგში-ეკონომისტი-მენეჯერი და უმცროსი შოთა სვანიძე ატარებს ბაბუას სახელს და აგრძელებს ბაბუის და მამის პროფესიას. მან აირჩია სისხლძარღვთა ქირურგია. მუშაობს გერმანიაში, საუნივერსიტეტო კლინიკაში ქირურგ-ანგიოლოგად. ჰყავს მეუღლე-თეო ბენდელიანი ექიმი- ენდოკრინოლოგი.

ლია შოთას ასული სვანიძე [დ.წ.1950]დაამთავრა ქ.ფოთის 1საშ. სკოლა ოქროს მედალზე 1967წ.

იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1973წ. მუშაობდა ექიმ-თერაპევტად. სსდ სადგურში,შემდეგ ქალაქის საავადმყოფოში. 1975წ ექიმ-ენდოკრინოლოგად 1პოლიკლინიკაში და ქალაქის საავადმყოფოში. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის კურსების გავლის შემდეგ. ამჟამად მუშაობს ,,ევექსის" ქ. ფოთის პოლიკლინიკაში ენდროკრინოლოგად. მეუღლე ედუარდ ქირია პროფესიით ინჟინერ-მშენებელი. გარდაიცვალა 2009წ. ყავს ქალიშვილი ნინო ქირია სვანიძეების ექიმთა დინასტიის მესამე თაობის წარმომადგენელი. რომელიც ასევე წარმატებით აგრძელებს საექიმო მოღვაწეობას გერმანიაში. მან გერმანიაში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება.არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესიით რადიოლოგი. მუშაობს გერმანიაში საუნივერსიტეტო კლინიკაში.

სვანიძეების სამედიცინო დინასტიის ფესვებს ასეთი გაგრძელებაა.

შოთა სვანიძისა და დაგმარა სვანიძე [გარდაიცვალა 2011წ] ექიმი-თერაპევტი] [1946წლიდან მუშაობდა ქ. ფოთის 1პოლიკლინიკაში ექიმი -თერაპევტი. მეუღლე ალექსანდრე[ალიოშა]ხარბედია-პროვიზორი [გარდაიცვალა 2010წ]მუშაობდა მეზღვაურთა საავადმყოფოში. ჰყავთ ორი შვილი: მანანა და ირაკლი, რომლებმაც აირჩიეს ტექნიკური განათლება, თუმცა ირაკლის უფროსი ქალიშვილი - ანა არის ექიმი, ჰყავს მეუღლე ბაჩო ბჟალავა-ასევე ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ცხოვრობენ და მუშაობენ თბილისში.

ლია სვანიძე

არ შეიძლება არ ავღნიშნო შოთა სვანიძის ძმისშვილი - თეონა სვანიძე [ვაჟას ქალიშვილი] წლების მანძილზე მუშაობდა ფოთში ინფექციონისტად. ინფექციური განყოფილების გამგედ. ამჟამად ცხოვრობს თბილისში. მეუღლესთან გელა ტუღუშთან.[ცნობილი ექიმის ლოთო[აკაკის]ტუღუშის მუშაობს თბილისში თერაპევტად.-ოჯახის ექექიმი

ქალიშვილი ნათია ტუღუში არის ექიმი კარდიოლოგი,მუშაობს თბილისის 1 კლინიკურ საავადმყოფოში.

ასეთი ოჯახები ღმერთმა უმრავლოს ქალაქს.

ალეკო დოლბაია
თენგიზ (ჩოქო) მხეიძის ხსოვნას

„ ...და ნავაც ჟაჩში, ჩოგორც ოოსაჩტი,
გელში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“
გალაკტიონი

დღეს შენი გარდაცვალება შევიტყვე, ძმაო, შენი შეერთება მარადისობასთან.

ქარია თბილისში და ფოთოლცვენაა. ყვითელი ფოთლებითაა მოფენილი ქუჩები.

გალაკტიონის ზემოთმოყვანილი ორი ტაეპი ამეკვიატა.

წახვედი, ძმაო. წახვედი ,,გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით". შენ მარადისობას შეუერთდი...

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე - დიდგვაროვანი, დიდ ქართველ მოწამეთა კონსტანტინე და დავით მხეიძეთა შთამომავალი, თავადაც სამშობლოსთვის, ეროვნული ხელისუფლებისთვის და პრეზიდენტისთვის მრავალტანჯული და წამებული კოლხი რაინდი, დიდსულოვანი, დიდი ქართველი პატრიოტი, დიდი პოეტი, უმწიკლო, თავისუფალი, როგორც არწივი მთისა, ბრწყინვალე მეოჯახე, მამა, მზრუნველი, მეგობრის და ადამიანის უსაზღვროდ მოყვარული, შეუვალი, გვერდით მდგომი, უფაქიზესი, მგრძნობიარე, სუფთა, როგორც ახალშობილი...

აი, შენი უბრწყინვალესი, წინასწარმეტყველური ლექსი, რითაც ხელოთუქმნელი ძეგლი დაიდგი:

„მოგონებები უცებ განაზდნენ,
გონება წერას უსწრებს სულეთში,
თითქოს არც ვიყო ამ ქვეყანაზე,
მივექანები უსასრულეთში.
ძლივს დავაღწიე თავი სატანეთს,
ტყვიის ღრუბლებმა გადამიარეს,
გზად გაუსაძლის ტკივილს
მატანენ,
ასე ჩვენიათ ადამიანებს.
მირონცხებული ანგელოსებით,
მნათობთა კრთომით ვირჩენ
იარებს,
უკვდავებაში დაგელოდებით,
შემომიარეთ, შემომიარეთ...“

თენგიზ (ჩოქო) მხეიძე

აღსდგება ლაზარე

ბავშვები სარკეში
ხედავენ გაზაფხულს...
მე ვხედავ დარდებში
კაცს, ჟამით დაზაფრულს.

ბავშვისთვის ხატია-
მზე, დედა, ვარდები.
წვიმს, თოვს თუ ხვატია
გაურბით დარდები.

მე ხატად მეგულვის
ფრთამალი რაშები...
დავწურე ეს გული,
დავლოცე ბავშვები...

აწმყო თუ მერმისი,
კუთვნილი მთა-ბარი,
ქართლი თუ ეგრისი,
გლეხი თუ მთავარი...

და მაინც გამწირეთ?
რა გნებავთ, რას მერჩით?
ნუ ებრძვით არწივებს,
ამაოდ დავშვრებით.

მზე-ოქროს საწმისი,
დააშრობს ბაზალეთს...
ეს არის საწყისი-
აღსდგება ლაზარე!

ეპიტაფია

არ მჩვევია გოდება...
არც, გლოვა და წუხილი,
თქვენი იყოს წოდება...
ჩემი - სისხლის დუღილი.

უსახელო საფლავში
დალპეს მტერთა გვამები,
მე დავიწვა ხანძარში
ტრფობით განაწამები.

თრთოდეს ჩემი სხეული
ზღაპრულ აკაციებთან,
ფერფლად გადააქცეული
დამიტიროს მითებმა.

არ დავეცნეთ

ჩვენ გესავთ, არა დავეცნეთ,
განვერნეთ ძალით სულისა...
შენ უწყი სათნომყოფელო
სიმხნე და მსჯავრი გულისა.

ევედრე უფალს ნეტარო,
დედაო ღვთისა, მარიამ!
რამეთუ მზის საუფლოში.
სახიერებიც არიან.

ვერ დაგივიწყე

მთვრალი პოეტების იყო კარნავალი
სიმხნევე ლექსით და სიმხნევე ღვინოთი
სოხუმის ქუჩებში მეც ვარ ნავალი.
და არანაკლებ სხვებზე ვტიროდი.
ყოველ წელიწადს, ყოველ გაზაფხულს,
ყველა კუთხიდან თქვენ ღებულობდით
სტუმარს, მოყვარეს თქვენ აცილებდი
და მზის სხივებით ყველას ათბობდით
ახლა რას შვებით ვის ეკედლებით.
ვის სახელს ატარებს თქვენი ქუჩები
ზოგი ჩეჩენის, ზოგი კაზაკის,
და იმათ გმირებს თქვენ ეხუტებით.
სიმართლის გზას ვერსად ვხედავ,
ვერც ვიპოვე სამართალი.
ვაჟკაცები უმოწყალოდ
დაგვიხოცეს
ვისი არის ნეტავ ბრალი.
სოხუმს ვნახე ზღვის ტალღებზე
თოლიების სიმრავლე
ღმერთო აღარ გადავშენდეთ
ქართველებო იხარეთ.
ბევრჯერ კიდევ მახსენდება
ზღვათა სანაპირონი
აფსუებო გაიხსენეთ
თქვენი ნათლი-მირონი.
კვლავ მენატრება ის სილამაზე
არ დაიხარო, წელში გასწორდი
ტყვიამ, რომელმაც მე ჩამიარა
საქართველოსკენ იყო ნასროლი.
დრო მკურნალია დაუვიწყარი
ყველა წასული ნაკვალევს ტოვებს
მე დღესაც მახსოვს იმ დროინდელი
აფხაზი ძმები გვესროდნენ თოფებს.

„ფაზისის“ საერო აკადემიის წევრი,
აფხაზეთის ომის „ვეტერანი
ინგბული მოსიავა

სული, აჰ სული

ვხედავ გამიხსნა გული მაისმა,
ეხლა ვგრძნობ სითბო შემოაბიჯებს,
მაგრამ ფიქრებმა სული დანისლა,
მზეო შენს სხივებს ვინღა მაღირსებს?
ვხედავ აენთო ცაზე ნათელი,
ის ეხლა ჩემსკენ მოემართება,
მე, ხომ წინასწარ, ვგრძნობი,
ვამხელდი
ქართველი წელში გაიმართება.
ვხედავ ხალისი რწმენას
ამკვიდრებს,
სულის სიმშვიდეს ნაზიარები,
სული, ჰა სული, ვეღარ გაკვირტეს
ვეღარ დანისლეს ცისკრის ზარები.

დავით ჩირგაძე

ალექსანდრე რუსია

* * *

რადაც ისე როგორც წუხელ იყო ...
რადაც ისე როგორც არა იყო .
ჩემს სარკმლებში შემოდგომის სურნელს,
მოწყინებით გემოს სიტკბო ეგრძნო !
როცა მზეა მაგრამ გრილი სიო,
მე მთრგუნავდა რადგან გული მენთო..
მწიფედ მზე და ნაწვიმარი ქარიშხალში,
ლაფი -ჰეწი,ერთდროულად ,ხალისიანს !..ღრუბლებშია პირის ბანვით მექო!
წელს მოსავალს ვინ დაითვლის, ისევ... თითქოს მაინც ფაზისური ადესური გემოდ.
მზისსხივებზე ,ზედაცმული მისი ჩრდილი,
გოგრებსა და თხილ ყურძნებზე,სავსე გულით,
– აქ , სექტემბერს დიდსულოვნად მეგრძნო !
გაიხაროს,იდღეგრძელოს რადგან ?!
აქ, მზისქვეშედს,ჩემს ქალაქში!
სიტყვა – უარი !
არავისთვის ეყოს !

* * *

ისე თითქოს განშორების მსგავსად,
ასე გითქვამს,
გავიქცევი წავალ...
უამინდო საწვიმარით ,გზა - ცა !
დამრჩენია აგედევნო , სა - ცა !
კარგო მითხარ თუ გიყვარდი , მართლაც ?!
არ ვიხსენებ ,ბეწვის ხიდებს ,კონწიალით რადგან...
თუ შენაც გაქვს ,შენი ბუდე გულისა,
მომეჩვიე, არას გავნებ !..
განშორებამ როგორც იცის ხვალისად .
თავგანწირვას მოკლებული ჯავრითა,
მაშ რა არის ?!..
თუ რაოდენ ეტმასნება – წლებს სახსოვრად ;ყველა წვიმა,ყველა წვეთად ;
ცრემლი, ჩემი ურჩი მეხვალისე გულისად .

მოტყუებული მორწმუნე ბავშვი .

... თუ შემოდგომა ვერ ასწრებს ქარებს,
გულს ვინ რა უთხრას, გრიგალებს, გრიალით საოქმელს !
დე , წამოიწყოს მცირედად წვიმამ და გადიცვაროს,
დახრილმა მხრებმაც.

* * *

სამართლის მგოსანთ ,ისე მყიფედ ,ეპყრათ ნამდვილი გულის ძახილი ,რომ აბრმავებდათ ამ დროების,სხვისი სინდისი.
– ან კი არსებობს თუ არაო, ასე ამბობდნენ ?!..
– მე კი მოლიპულ გზებზე მუდამ მუხლით ვიარე .
არდაფარული ჩემი სვლებით, გზიდან ტროტუარს მეტად მივენდე !
ხელებ შეკრული, თავი მძიმე წონასწორობით – მხრებით ვამაგრე და ასე მოველ,
მხოლოდ ღვთისთვის ,სამართლის მქონემ.
თუ უმთავრესი სხვა რა ჰყოფილა...

არ იზიარებს ,ის პირველი,სამართლის მცოდნეს ....

იმერეთია

თუ ისევ ქარი, ისევ ცეცხლია.
მზე შენს მიწაწყალს, დიდებულია...
მაშ ! ასე მესმის, დღე თეთრ ვარდებთან ,
ქვეყნად იმერეთს, გასჭირვებია !..
თუ შენი სახით ,
ჯერაც მედეას ..
აია მტკიცედ მოულოცია...
სხვაგან სად ვნახო, – წმიდა ბაგრატი ..
რომ მეფე დავითს – გელათს უვლიან !
სხვაგან არ მინდა , გულს იქ სწყურია !
სადაც იქ თუნდაც, ქარი ... ცეცხლია !
...და მონატრება მე მკლავდა ,მიწის , სადაც უბრალოდ, დღეს მინდორია.
რომ ეს ყოველი,იქ ,დამითმია,
... – თუ მისთვის მითქვამს.
– იმერეთია ?!
– იმერეთია !!!

გვახსოვდეს

ან დასვიროს მოყვრისა, ან ლოდს ვეროსან ზიხრისა...

ისინი იღვწოდნენ ქალაქისათვის



ანზორ
გრიგოლია

მურთაზ
კაპანაძე

ივანე
პატარაია

გოგი
რამინაშვილი

ზაურ
ჭედია



იური
გვაზავა

ბორის
ხუბულავა

კაკო
კუპრაძე

ანზორ
დავითაია

მიდისარ, ისე მიგაქვს ჩვალომა,
თითქოს ზღვის პირას თივას თიმავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალომა,
არა, უთუოდ დღეს დაიმადე.

მიდისარ, აღარ დაგემდურომა,
არც მიჩვიური არც ზეციური,
ვინა სთქვა შენი უმედურომა,
არა, დღესა სარ შენ მეენიური.

მიდისარ, ფუმილი გქონდეს მგზავრომა,
სხვა მინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსათრომა,
არა, შენ ჰპოვე თავშესათვარი.

მიდისარ, შენს მედს მეური ინაფრომს
მედნიერს, მედი სხვა არსად არი,
შენ სიურცეემმა დაგამინადრეს,
შენ უკვდავემის სარ მინადარი..

ნინა
ქოიავა

ალექსანდრე
გუჯაბიძე

ბადრი
დვალიშვილი

გიორგი
ხოჭოლავა



თენგიზ
რამიშვილი



თამაზ
კვახაძე

ვახტანგ
ვეკუა

სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

შვედეთის ელჩი: ულრიკ ტიდესტრო-გილოცავთ გამარჯვებას!

შვედეთის ელჩმა ულრიკ ტიდესტრომმა საქართველოს მიულოცა ეროვნული საფეხურთო ნაკრების გამარჯვება. 11 ნოემბერს, ბათუმის სტადიონზე, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩში, შვედეთის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით, 2:0.

შვედეთის ნაკრების კარში ორივე გოლი ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში მერის მოადგილე მამუკა პაპასკირმა სამოყვარულო ფეხბურთის გუნდებს -,,ჭაბონამა" და ,,ნაბადა" უმასპინძლა და ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობა მიულოცა

სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატზე სამოყვარულო ფეხბურთში (11X11), სადაც ასპარეზობდა გუნდი ,,ნაბადა'' და სამეგრელოს მასტერ ლიგის ჩემპიონატზე (7X7), რომელშიც მონაწილეობდა გუნდი ,,ჭაბონამა'', წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა ფეხბურთელებმა და გახდნენ სამეგრელოს რეგიონის ჩემპიონები. ამავდროულად მოიპოვეს შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება, სადაც მათი მეტოქეები იქნებიან აჭარის, გურიისა და იმერეთის რეგიონების ჩემპიონატებზე გამარჯვებული ფეხბურთელთა გუნდები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირმა და მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ზურაბ ტიბუამ ფეხბურთელებს დიპლომები გადასცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

გუნდმა ,,კოლხი რაინდები" ზესტაფონის ,,არწივები" დაამარცხა

რაგბის, საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე,დასავლეთ საქართველოს გუნდებს შორის,,კოლხი რაინდები -ს გამარჯვებით დასრულდა.

მათ, 7 თამაშიდან 6 გამარჯვებით დაასრულეს და ახლა 28 ქულით მეორე პოზიციაზე იმყოფებიან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ,,კოლხი რაინდები"- ს მწვრთნელს ირაკლი სასანიას ვესაუბრეთ.,მისი განცხადებით აღნიშნული გამარჯვება დიდი მოტივაციის მქონე და ძალიან საამაყოა.

აღსანიშნავია რომ ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლო მე- 7 -ე მატჩი, თერჯოლაში გაიმართა,სადაც მათ ზესტაფონმა უმასპინძლა .

მატჩი პირველივე წუთებიდან კოლხების უპირატესობით დაიწყო, რაც საბოლოო ანგარიშში აისახა და ,,კოლხი რაინდები"-მა ზესტაფონის გუნდი ,,არწივები" 36 -11 დაამარცხა

ფოთში ქალაქის პირველობა 64-უჯრიან შაშში ჩატარდა

13 ნოემბერს, ფოთის ხელბურთის დარბაზში ,,ქალაქ ფოთის პირველობა თენგიზ ბარამიძის სახელობის თასი ,64-უჯრიან შაშში'' საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და ვეტერან მოშაშეთა შორის გაიმართა.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის : პირველი ადგილი ლევან ჭოჭუამ მოიპოვა მეორე და მესამე ადგილზე, ლაშა არველაძე და იზოლდა ლიპარტია გავიდნენ.

ვეტერანთა შორის: პირველი ადგილი ალექსანდრე გუბელიძემ მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილი, თანაბარი ქულებით, დავით შავგულიძემ და თამაზ ნაჭყებიამ გაინაწილეს, მესამე ადგილზე გაიოზ ქინქლაძე გავიდა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ზურაბ ტიბუა, ტურნიში გამარჯვებულებს შეხვდა,წამატებები უსურვა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო პარტიისათვის ,,ნუგზარ პატარაიას სახელობის თასი '' თამაზ ნაჭყებიას გადაეცა. საუკეთესო კომბინაციისათვის თასი ლუკა შენგელიამ მიიღო.

მონაწილე - გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოშაშეები, დიპლომებით, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.

1956 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, ქალბატონი

დოდო ჭოჭუა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

სამძიმარი

მწუხარებას გამოვთქვამ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დამსახურებული მსახიობის, ღირსების ორდენის კავალერის, ფოთის საპატიო მოქალაქის

ჟუჟუნა ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ გარდაცვლილის ოჯახს.

ნანი მიმინოშვილი

ციალა გუჯაბიძე, ირმა და გია დარჯანიები, ნანა და მიხო სესკურიები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი

დოდო ჭოჭუა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ირმა და გია დარჯანიები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი

ლილი ალანია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მედიკო და ვანო ნარმანიები, ქეთი და მამაუკა გოგინავები, მწუხარებას გამოვთქვამ

დოდო ჭოჭუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ბავშვობიდან და სკოლის წლებიდან ახლობელ-მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სპეციალისტი და მოღვაწე საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ყოფილი უფროსი

გივი ნორაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მურთაზ გვაზავა, გივი აბდუშელიშვილი, როლანდ ლაბარტყავა, ჯემალ ნორაკია, ჯემალ ჯანუაშვილი.

განცხადება:
იყიდება: ორსართულიანი
კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში,
განაშენიანებული ეზოთი.მის:
იერუსალიმის №4; ტელ: 551 499 555

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა